საქართველოს პარლამენტი

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვრის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
თებერვალი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 2,314.2 მლნ ლარი	35.0% 3 თვის გეგმის	8.4% წლიური გეგმის
გადასახდელები - 2,275.6 მლნ ლარი	33.6% 3 თვის გეგმის	8.1% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 38.6 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 157.7 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -141.8 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2025 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობები** 2,314.2 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,560.8 მლნ ლარი) 8.4%-ს და 3 თვის გეგმის[1] (6,619.0 მლნ ლარი) 35.0%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 455.6 მლნ ლარით (24.5%-ით) აღემატება (ძირითადად, ვალდებულებების ზრდის კომპონენტის მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2025 წლის 1 თვეში, **გადასახდელები** 2,275.6 მლნ ლარს, წლიური გეგმის (27,941.7 მლნ ლარი) 8.1%-ს და 3 თვის გეგმის (6,780.8 მლნ ლარი) 33.6%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის იანვრის მაჩვენებელს 224.5 მლნ ლარით (10.9%-ით) აჭარბებს (ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 3 თვის გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (34.4%), აგრეთვე, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებს (29.0%), არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (12.5%), ხოლო ფინანსური აქტივების კლების კომპონენტი 53.2%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, 3 თვის გეგმის მიმართ, ხარჯების, არაფინანსური აქტივების ზრდისა და აგრეთვე, ვალდებულებების კლების კომპონენტების მაჩვენებლები კარგი შესრულებით ხასიათდება (შესაბამისად, 32.1%, 34.5% და 31.7%), ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები გადაჭარბებით გამოირჩევა და 183.1%-ს აღწევს.





[1] 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 30 დეკემბრის №434 ბრძანება).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,386.2 მლნ ლარს გაუტოლდა. 1 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 38.6 მლნ ლარი შეადგინა და 2025 წლის 1 თებერვლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,424.8 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



გადასახადების სახით იანვარში მობილიზებულია 1,821.2 მლნ ლარი, რაც 3 თვის გეგმის 34.3%-ს და წლიური გეგმის 8.3%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით გადასახადების 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 19.6%- 41.2%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. აქციზი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადს, 3 თვეში დაიგეგმა 130.0 მლნ ლარი, ფაქტობრივად კი 23.0 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წელთან შედარებით გადასახადები გაზრდილია 178.8 მლნ ლარით (10.9%-ით), ძირითადად, საშემოსავლო და მოგების გადასახადების, შესაბამისად, 16.0%-იანი, 17.1%-იანი მატების გავლენით.



2025 წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 157.7 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -141.8 მლნ ლარი შეადგინა.



ხარჯების მაჩვენებელმა 1 თვეში 1,763.9 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 32.1% და წლიური გეგმის 8.1% შეადგინა. სახეების მიხედვით ხარჯების 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლებში, პროცენტის მუხლი მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა (61.2%), სოციალური უზრუნველყოფის (32.8%), სხვა ხარჯებისა (29.6%) და შრომის ანაზღაურების (29.4%) მუხლები კარგი შესრულებით ხასიათდება, ხოლო საქონლისა და მომსახურების ხარჯებს (23.4%), გრანტებსა (22.6%) და სუბსიდიებს (18.7%), შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს. წინა წელთან შედარებით, ხარჯები 179.3 მლნ ლარით (11.3%-ით) გაზრდილია, თითქმის ყველა სახის ხარჯის მატების გავლენით (მ.შ.სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები გაზრდილია 84.3 მლნ ლარით).



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 1 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა*	2025 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
შემოსულობები	**1,858.6**	**27,560.8**	**6,619.0**	**2,314.2**	**35.0%**	**8.4%**
შემოსავლები	**1,846.2**	**23,434.9**	**5,581.2**	**1,921.6**	**34.4%**	**8.2%**
გადასახადები	1,642.4	21,885.0	5,308.0	1,821.2	34.3%	8.3%
საშემოსავლო გადასახადი	656.5	7,369.0	1,849.0	761.6	41.2%	10.3%
მოგების გადასახადი	233.8	3,070.0	850.0	273.8	32.2%	8.9%
დღგ	658.5	8,136.0	1,884.0	644.4	34.2%	7.9%
აქციზი	177.9	2,650.0	560.0	109.7	19.6%	4.1%
იმპორტის გადასახადი	11.0	150.0	35.0	8.6	24.6%	5.8%
სხვა გადასახადები	-95.3	510.0	130.0	23.0	17.7%	4.5%
გრანტები	67.8	199.9	49.2	5.1	10.3%	2.5%
სხვა შემოსავლები	136.0	1,350.0	224.0	95.3	42.6%	7.1%
არაფინანსური აქტივების კლება	**0.3**	**300.0**	**70.0**	**8.7**	**12.5%**	**2.9%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**137.3**	**400.0**	**83.0**	**127.2**	**153.2%**	**31.8%**
ვალდებულებების ზრდა	**-125.2**	**3,425.9**	**884.8**	**256.6**	**29.0%**	**7.5%**
საშინაო	-162.8	1,600.0	639.2	223.2	34.9%	14.0%
საგარეო	37.6	1,825.9	245.6	33.4	13.6%	1.8%
გადასახდელები	**2,051.1**	**27,941.7**	**6,780.8**	**2,275.6**	**33.6%**	**8.1%**
ხარჯები	**1,584.6**	**21,842.0**	**5,497.2**	**1,763.9**	**32.1%**	**8.1%**
შრომის ანაზღაურება	184.2	3,035.0	757.4	222.7	29.4%	7.3%
საქონელი და მომსახურება	146.8	2,485.3	649.9	152.2	23.4%	6.1%
პროცენტი	283.8	1,745.0	538.7	329.6	61.2%	18.9%
სუბსიდიები	58.4	1,021.6	298.7	55.8	18.7%	5.5%
გრანტები	86.2	1,856.5	402.0	90.9	22.6%	4.9%
სოციალური უზრუნველყოფა	616.1	8,446.3	2,133.0	700.4	32.8%	8.3%
სხვა ხარჯები	209.1	3,252.3	717.5	212.4	29.6%	6.5%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**355.2**	**4,258.9**	**892.7**	**308.3**	**34.5%**	**7.2%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**7.5**	**424.1**	**52.5**	**96.2**	**183.1%**	**22.7%**
ვალდებულებების კლება	**103.8**	**1,416.7**	**338.4**	**107.2**	**31.7%**	**7.6%**
საშინაო	2.7	42.9	12.9	0.1	0.4%	0.1%
საგარეო	101.1	1,373.8	325.5	107.1	32.9%	7.8%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**-192.4**	**-381.0**	**-161.8**	**38.6**		

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება № 434)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 1 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
შემოსავლები	**1,846.2**	**23,434.9**	**5,581.2**	**1,921.6**	**34.4%**	**8.2%**
გადასახადები	1,642.4	21,885.0	5,308.0	1,821.2	34.3%	8.3%
გრანტები	67.8	199.9	49.2	5.1	10.3%	2.5%
სხვა შემოსავლები	136.0	1,350.0	224.0	95.3	42.6%	7.1%
ხარჯები	**1,584.6**	**21,842.0**	**5,497.2**	**1,763.9**	**32.1%**	**8.1%**
შრომის ანაზღაურება	184.2	3,035.0	757.4	222.7	29.4%	7.3%
საქონელი და მომსახურება	146.8	2,485.3	649.9	152.2	23.4%	6.1%
პროცენტი	283.8	1,745.0	538.7	329.6	61.2%	18.9%
სუბსიდიები	58.4	1,021.6	298.7	55.8	18.7%	5.5%
გრანტები	86.2	1,856.5	402.0	90.9	22.6%	4.9%
სოციალური უზრუნველყოფა	616.1	8,446.3	2,133.0	700.4	32.8%	8.3%
სხვა ხარჯები	209.1	3,252.3	717.5	212.4	29.6%	6.5%
საოპერაციო სალდო	**261.6**	**1,592.9**	**84.1**	**157.7**	**187.6%**	**9.9%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**354.9**	**3,958.9**	**822.7**	**299.5**	**36.4%**	**7.6%**
ზრდა	355.2	4,258.9	892.7	308.3	34.5%	7.2%
კლება	0.3	300.0	70.0	8.7	12.5%	2.9%
მთლიანი სალდო	**-93.3**	**-2,366.0**	**-738.6**	**-141.8**	**19.2%**	**6.0%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-322.3**	**-356.9**	**-192.2**	**7.6**	**-4.0%**	**-2.1%**
ზრდა	**7.5**	**424.1**	**52.5**	**134.8**	**256.6%**	**31.8%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	38.6		
სესხები	7.5	421.7	50.1	9.1	18.1%	2.2%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	2.5	2.5	87.1	3556.8%	3556.8%
კლება	**329.8**	**781.0**	**244.8**	**127.2**	**52.0%**	**16.3%**
ვალუტა და დეპოზიტები	192.4	381.0	161.8	0.0	0.0%	0.0%
სესხები	137.3	400.0	83.0	127.2	153.2%	31.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
ვალდებულებების ცვლილება	**-229.0**	**2,009.1**	**546.4**	**149.5**	**27.4%**	**7.4%**
ზრდა	**-125.2**	**3,425.9**	**884.8**	**256.6**	**29.0%**	**7.5%**
საშინაო	-162.8	1,600.0	639.2	223.2	34.9%	14.0%
საგარეო	37.6	1,825.9	245.6	33.4	13.6%	1.8%
კლება	**103.8**	**1,416.7**	**338.4**	**107.2**	**31.7%**	**7.6%**
საშინაო	2.7	42.9	12.9	0.1	0.4%	0.1%
საგარეო	101.1	1,373.8	325.5	107.1	32.9%	7.8%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		

საქართველოს პარლამენტი